



2023
წელი

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების,
განვითარების და გაუქმების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურებს.
2. დოკუმენტი ეყრდნობა საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორს, ავტორიზაცია/საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, აკრედიტაციის სახელმძღვანელოსა და დარგობრივ დოკუმენტებს.
3. სასწავლო უნივერსიტეტი თავისი მისიისა და ამოცანების შესასრულებლად, ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის პროგრამებს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

მუხლი 2. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცედურებ

1. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების ეტაპები

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების ეტაპებია:

- ა) პროგრამის აქტუალობის განსაზღვრა;
- ბ) პროგრამის ხელმძღვანელის განსაზღვრა და სამუშაო ჯგუფის შექმნა;

- გ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ჩამოყალიბება, სასწავლო გეგმის შედგენა;
- დ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ სილაბუსების შემუშავება;
- ე) პროგრამის ბიუჯეტის შედგენა;
- ვ) პროგრამის გარე რეცენზირება;
- ზ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის შეფასება;
- თ) პროგრამისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის სრული პაკეტის გამზადება და ფაკულტეტის საბჭოზე განხილვა;
- კ) პროგრამის წარდგენა მმართველ საბჭოზე დასამტკიცებლად;

2. პროგრამის აქტუალობის განსაზღვრა

პროგრამის ინიცირებისას ხდება მისი აქტუალობისა და განსახორციელებლად საჭირო რესურსის განსაზღვრა. პროგრამის აქტუალობის დადგენა ხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლის გზით, რომელიც შესაძლოა, სასწავლო უნივერსიტეტმა დაუკვეთოს გარეშე პირს, ჩაატაროს საკუთარი ძალებით ან გამოიყენოს უკვე ჩატარებული კვლევის შედეგები.

პროგრამის დაგეგმვის პროცესში ხდება ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა (ბენჩმარკინგი).

3. პროგრამის ხელმძღვანელის განსაზღვრა და სამუშაო ჯგუფის შედგენა

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირი, რომელსაც აქვს პროგრამის განვითარების ხედვა, დარგობრივი და მენეჯერული კომპეტენციები. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციაა პროგრამის შემუშავების კოორდინაცია, განხორციელების ხელშეწყობა, განვითარება და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის მუდმივ განვითარებაზე, ასრულებს კანონმდებლობით და სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მასზე დაკისრებულ უფლებამოსილებებს. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, პასუხისმგებელია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაზე;

4. პროგრამის ხელმძღვანელი:

- ა) ჩართულია შრომის ბაზრის /დამსაქმებელთა მოთხოვნების შესწავლის პროცესში;
- ბ) პერიოდულად ახდენს პროგრამის ბენჩმარკინგს;
- გ) პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად ადგენს კურიკულუმის რუკას, სამიზნე ნიშნულებს;
- დ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, ახორციელებს სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგს;
- ე) სხვადასხვა რელევანტური ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის საფუძველზე (გამოკითხვის შედეგები, ცვლილებები კანონმდებლობაში თუ სხვა), პროგრამის განმავითარებელ ჯგუფთან ერთად, ამზადებს პროგრამაში შესატანი ცვლილებების პროექტს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;
- ვ) აქტიურადაა ჩართული დამსაქმებლებთან ურთიერთობაში, მუდმივად ზრუნავს პრაქტიკის ობიექტებისა და დამსაქმებლების წრის გაფართოებაზე;
- ზ) აქტიურად მონაწილეობს აკრედიტაციის პროცესისთვის მომზადებასა და შესაბამისი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მოგროვებაში;

თ) ახდენს პროგრამის პრეზენტაციას და წარადგენს მას სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების წინაშე (დამსაქმებლები, სტუდენტები, აბიტურიენტები და სხვა);

ი) ხარისხის სამსახურთან ერთად უშუალოდ მონაწილეობს თვითშეფასების ანგარიშების შედგენაში;

კ) ახორციელებს სხვა აქტივობებს, რაც ემსახურება პროგრამის განვითარებას.

5. პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, იქმნება პროგრამის სამუშაო ჯგუფი რომელიც განიხილავს პროგრამის ირგვლივ არსებულ საკითხებს. სამუშაო ჯგუფში შედიან სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები. დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ:

ა) სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი;

ბ) ადმინისტრაციული პერსონალი თავისი კომპეტენციის ფარგლებში: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ფინანსური სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ბიბლიოთეკა და სხვა.

გ) პოტენციური დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები;

დ) ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის სტუდენტები (შესაბამისი მიმართულების არარსებობის შემთხვევაში, მომიჯნავე სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამებიდან). შესაძლებელია სხვა უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამის სტუდენტების მოწვევაც;

ე) შესაბამისი მიმართულების, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, მომიჯნავე სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები.

6. პროგრამის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს მმართველი საბჭო. საჭიროების შემთხვევაში მმართველი საბჭო უფლებამოსილია ასევე განსაზღვროს სამუშაო ჯგუფის მიერ შესაბამისი სამუშაოს განხორციელების ვადები და სხვა ისეთი არსებითი დეტალები რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია მნიშვნელოვანი იყოს ჯგუფის ეფექტურად მუშაობისთვის.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის პრინციპები

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირები ხელმძღვანელობენ პროგრამის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანი შემდეგი დოკუმენტებით:

ა) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, რომელიც აღწერს უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სწავლის შედეგებს; სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, რომელიც განსაზღვრავს სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციას;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის N65/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების და საფასურის შესახებ“.

დ) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) უმაღლესი განათლების სფეროში არსებული სხვა ნორმატიული აქტები და საერთაშორისო დოკუმენტაციები/კონვენციები;

ვ) უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტები და ინსტრუქციები.

2. საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პირები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავენ პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან. რეგულირებადი

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინება.

3. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების მიზანი და სწავლის შედეგები შესაბამისობაში უნდა იყოს კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებთან, ასევე, დარგობრივ მახასიათებელთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

4. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შემუშავების პროცესში ხდება თითოეული კომპონენტების მოცულობის განსაზღვრა, მისანიჭებელი კრედიტის დადგენა საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განსაზღვრული საათების შესაბამისად, სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების განსაზღვრა. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სილაბუსის შემუშავება ასევე ითვალისწინებს სასწავლო კურსის დაძლევისთვის აუცილებელი წინაპირობის განსაზღვრას.

5. უმაღლესი განათლების საფეხურების ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების მოცულობა განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა:

6.1. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია აგებული იყოს შემდეგი პრინციპით:

ა) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები;

ბ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით), დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები და თავისუფალი კომპონენტები;

გ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები.

6.2. საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია მხოლოდ იმ დამატებითი სპეციალობის კომბინირება, რომლის ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკვე ხორციელდება აკრედიტებულ რეჟიმში.

6.3. თავისუფალი კომპონენტი მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ ან/და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით.

6.4. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით. დამატებითი პროგრამა და თავისუფალი კომპონენტები ასევე, უნდა მოიცავდეს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებს/საგნებს/მოდულებს.

6.5. უმაღლესი განათლების პირველი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია ითვალისწინებს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, ხოლო უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში – არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს.

6.6. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტსა და დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ საკვალიფიკაციო ნაშრომს. სასურველია, სამაგისტრო პროგრამა შედგებოდეს პრაქტიკული კომპონენტისგანაც. აქვე, საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის იმპლემენტირებისას გაითვალისწინება შესაბამის სფეროში მოქმედი დარგობრივი მახასიათებელი.

7. კვალიფიკაცია – სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით და დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომით; მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმირება ხდება შემდეგნაირად:

ა) უმაღლეს განათლებაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება მოიცავს უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამის ზოგად აღმნიშვნელს, კვალიფიკაციისა და დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს დასახელებას.

ბ) ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაციების ზოგადი აღმნიშვნელებია:

ბაკალავრიატი	მაგისტრატურა
ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი Bachelor of Arts /BA	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი Master of Arts /MA
მეცნიერების ბაკალავრი Bachelor of Science /BSc	მეცნიერების მაგისტრი Master of Science /MSc
სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი Bachelor of Music /BMus	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი Master of Music /MMus
ხელოვნების ბაკალავრი Bachelor of Fine Arts/ BFA	ხელოვნების მაგისტრი Master of Fine Arts / MFA
ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი Bachelor of Business Administration/BBA	ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი Master of Business Administration /MBA
ინჟინერიის ბაკალავრი Bachelor of Engineering /BEng ბაკალავრი	ინჟინერიის მაგისტრი Master of Engineering/MEng მაგისტრი

Bachelor	Master
----------	--------

გ) ინტერდისციპლინური დეტალური სფეროს შესაბამისი კვალიფიკაციების მინიჭება ხორციელდება იმ ვიწრო სფეროდან, რომლის სწავლის შედეგიც დომინირებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში.

დ) კვალიფიკაციის სწავლის სფერო აისახება დიპლომის დანართში.

ე) კლასიფიკატორის დეტალური სფეროებში განთავსებულ სწავლის სფეროებში ფრჩხილებში არსებული მითითებები/ ტერმინები არ აისახება კვალიფიკაციის სახელწოდებაში.

7.1. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განისაზღვრება შესაბამის საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის დონე:

ა) ცოდნა გაცნობიერება (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი);

ბ) უნარები (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა);

გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება).

7.2. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით, უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, ხორციელდება ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება.

7.3. უმაღლესი განათლების საფეხურები, სწავლის შედეგების მიხედვით, აღწერილია იერარქიულად. უმაღლესი განათლების ყოველი მომდევნო საფეხური გულისხმობს წინა საფეხურზე მიღებული სწავლის შედეგების საფუძველზე დამატებითი სწავლის შედეგების მიღწევას;

7.4. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი უნდა ითვალისწინებდეს კურსდამთავრებულისთვის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერით დადგენილი კომპეტენციების გამომუშავებას, პროგრამის მიზანი შესაბამისობაში უნდა იყოს უნივერსიტეტის მისიასთან, ნათლად იყოს ჩამოყალიბებული და ითვალისწინებდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და მიმართული უნდა იყოს კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე.

8. სწავლების ენა:

8.1. სასწავლო უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული;

8.2. საგანმანათლებლო პროგრამის სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან;

8.3. პროგრამის ფარგლებში დასაშვებია უცხო ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება უცხოენოვანი სავალდებულო ლიტერატურის მითითებით ან ქართულენოვანი კურსის შეთავაზება ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურის გამოყენებით, რომელიც მოითხოვს ინგლისური ენის ფლობის შესაბამისი კომპეტენციის დადასტურებას (წინაპირობის განსაზღვრით).

9. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა

9.1. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა გამოიხატება შესაბამისი სემესტრებისა და წლების მითითებით.

10. სასწავლო გეგმა

10.1. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო გეგმის შედგენა მოიცავს მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, რომელიც კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად გადის სწავლის შედეგზე (ძირითადი სწავლის შედეგების მისაღწევი სასწავლო კურსები, სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და სხვ.);

11. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

11.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების დამატებითი წინაპირობები განისაზღვრება კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

11.2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უნდა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

12. სწავლებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები:

12.1. პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლების/სწავლის ის მეთოდები, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს მიაღწიოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს.

12.2. სწავლების პროცესში კონკრეტული საკითხის შესწავლა შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდების ერთობლიობით. სასწავლო კურსის ხელმძღვანელი თავად განსაზღვრავს სწავლების ფორმებსა და მეთოდებს.

13. საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

13.1. საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და სასწავლო უნივერსიტეტში არსებულ შეფასების წესს, რომელიც გაწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“.

13.2. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკას და მოიცავდეს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს.

14. საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი

14.1. საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

ბ) უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური;

- გ) კვალიფიკაციის დონე;
- დ) მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება (ქართულად და ინგლისურად);
- ე) დეტალური სფეროს დასახელება და კოდი;
- ვ) სწავლების ენა;
- ზ) საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა;
- თ) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ი) საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობები;
- კ) სფეროს აღწერა;
- ლ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები;
- მ) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები;
- ნ) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა;
- ო) სწავლება-სწავლის მეთოდები;
- პ) შეფასების სისტემა;
- ჟ) პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი;
- რ) ინტერნაციონალიზაცია;

ს) დასაქმების სფეროები;

ტ) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები;

უ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;

ფ) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;

საგანმანათლებლო პროგრამას თან უნდა ერთვოდეს:

1) საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;

2) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;

3) სწავლის შედეგების შეფასების რუკა.

საგანმანათლებლო პროგრამას ასევე თან უნდა ახლდეს **სილაბუსები**, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ინფორმაციას:

ა) ფაკულტეტი;

ბ) პროგრამის დასახელება;

გ) აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური;

დ) სასწავლო კურსის/კომპონენტის სახელწოდება (ქართულად/ინგლისურად);

ე) საგანმანათლებლო კურსის განმახორციელებელი;

ვ) კურსის სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი);

- ზ) დაშვების წინაპირობა;
- თ) სასწავლო კურსის მოცულობა (ECTS);
- ი) საათების განაწილება;
- კ) სასწავლო კურსის მიზანი;
- ლ) სასწავლო კურსის სწავლის შედეგები;
- მ) სწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორები;
- ნ) სწავლა-სწავლების მეთოდები;
- ო) შეფასების სისტემა;
- პ) ლიტერატურა/სასწავლო რესურსები;
- ჟ) სასწავლო კვირების თემატიკა.

14. პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას საუნივერსიტეტო და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან;

15. პროგრამა განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე და დასამტკიცებლად წარედგინება მმართველ საბჭოს.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა და განვითარება

1. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ემსახურება პროგრამის განვითარებას. დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელებისა და შემდგომი განვითარების მიზნით იქმნება მუდმივმოქმედი, **საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი ჯგუფი**. პროგრამის განმავითარებელი ჯგუფის თავმჯდომარე არის პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის განმავითარებელი ჯგუფის წევრები შეიძლება იყვნენ პროგრამის განმხორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. პროგრამის განმავითარებელი ჯგუფის წევრებს ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია ასევე განსაზღვროს ჯგუფის მუშაობის გეგმა-გრაფიკი და სხვა არსებითი დეტალები.

2. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მასში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საფუძველი შესაძლებელია იყოს:

ა) დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები;

ბ) პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები;

გ) საკანონმდებლო ცვლილებები.

3. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა/პროგრამის შეფასება პირდაპირი (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით;

ბ) მონაცემების დამუშავება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განმავითარებელი ჯგუფის მიერ;

დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;

ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების განხორციელება.

4. საგანმანათლებლო პროგრამაში შესატან ცვლილებებს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო, შემდეგ კი ცვლილებებს ამტკიცებს მმართველი საბჭო.

5. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობ(ებ)ის, სწავლის შედეგ(ებ)ის ან/და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ან/და საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის (ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების და მისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობის არანაკლებ 30%-ით ცვლილება - დამატება ან/და ამოღება, რაც არ ცვლის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს ან/და კონცენტრაციის დამატება ან/და ამოღება) ცვლილების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წერილობით აცნობოს ცვლილების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარუდგინოს შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე ცვლილებების განხორციელების მიზეზი და მის მიერ გამოცემული შესაბამისი აქტი.

6. დაუშვებელია საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლების ენის ან/და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელების ცვლილება. ასევე, დაუშვებელია აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანება ან პროგრამის გაყოფა (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისისა), ასევე რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ადგილების - მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების ცვლილება. ამ პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების განხორციელების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა/ პროგრამები განიხილება ახალ პროგრამად/პროგრამებად, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებამ უნდა მოიპოვოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელების ცვლილება ან/და აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში არსებული საგანმანათლებლო

პროგრამების გაყოფა დასაშვებია, თუ აღნიშნული უკავშირდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანას ან არსებულ დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანას. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები არ განიხილება ახალ პროგრამად/პროგრამებად და აკრედიტებულ რეჟიმში აგრძელებენ მოქმედებას ამ პუნქტით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელების ცვლილებამდე ან/და აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის გაყოფამდე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული აკრედიტაციის დარჩენილი ვადით

8. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, უნივერსიტეტი სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 65/ნ ბრძანებით გათვალისწინებული ნორმებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამა აღარ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;

გ) ფინანსური ან/და სხვა საჭირო რესურსის არარსებობის შემთხვევაში;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

2. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო უნივერსიტეტის მმართველი საბჭო. საკითხის ინიცირება ხდება ფაკულტეტის საბჭოზე პროგრამის ხელმძღვანელის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის მიერ. ფაკულტეტის საბჭოზე განხილვის მიზნით პროგრამის ხელმძღვანელი ამზადებს პროგრამის გაუქმების დასაბუთების ანგარიშს და

სტუდენტთა ინფორმირების გეგმას. ანგარიში განიხილება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება წარედგინება მმართველ საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

3. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით.

4. სტუდენტთა კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ცვლილების განხორციელებამდე ჩარიცხული სტუდენტები სწავლას აგრძელებენ მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, საჭიროების შემთხვევაში განსხვავებული სასწავლო გეგმით, ისე, რომ მიღწეულ იქნას მოდიფიცირებული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.

5. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ მმართველი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულება უფლებამოსილია:

ა) მისცეს მიმდინარე საფეხურის დასრულების შესაძლებლობა გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება არ ხორციელდება.

ბ) შესთავაზოს სტუდენტებს მობილური და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება ისეთი სასწავლო კურსები/მოდულები/თავისუფალი კომპონენტები, რომლებიც თავსებადი და რელევანტური იქნება სხვა პროგრამებზე გადასვლის შემთხვევაში და ხელშეწყობილი იქნება მაქსიმალური რაოდენობის კრედიტების აღიარება;

გ) უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რეალიზებული რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

დ) გააცნოს სტუდენტს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის წესი, ვადები და პირობები.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესი მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით. წინამდებარე წესთან ერთად დამტკიცებულ იქნა დანართი N1, სასწავლო კურსის/კომპონენტის სილაბუსის ფორმა და დანართი N2 საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინი. დანართები არის ამ დოკუმენტის განუყოფელი ნაწილი.
3. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია არსებული წესის თანახმად რექტორის სამართლებრივი აქტით.

დანართი N1

სილაბუსი

სასწავლო კურსის/კომპონენტის

მიუთითეთ სასწავლო კურსის/კომპონენტის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე

სახელწოდება

სასწავლო კურსის განმახორციელებელი

მიუთითეთ სახელი, გვარი, აკადემიური სტატუსი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი, მოწვეული ლექტორი)

საკონტაქტო ინფორმაცია: (მიუთითეთ ელ. ფოსტა და ტელ. ნომერი)

საკონსულტაციო დრო: (მიუთითეთ კონსულტაციისთვის განკუთვნილი დღე და დრო, ან მიუთითეთ, რომ საკონსულტაციო დრო და ფორმატი შეთანხმდება სტუდენტებთან ერთად სასწავლო სემესტრის დასაწყისში)

სტატუსი

სავალდებულო/არჩევითი

დამუშავების წინაპირობა

მიუთითეთ სასწავლო კურსის/კომპონენტის დასახელება, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული კურსის წინაპირობას. თუ ორი ან მეტი სასწავლო კურსი წარმოადგენს წინაპირობას, მიუთითეთ ის, რომელიც სასწავლო გეგმის მიხედვით, ბოლოს ისწავლება. თუ სასწავლო კურსს არ აქვს წინაპირობა მიუთითეთ „წინაპირობის გარეშე“

სასწავლო კურსის მოცულობა (ECTS)

მიუთითეთ კრედიტების რაოდენობა

საათების განაწილება

სულ: -- სთ. (მიუთითეთ თქვენი კურსისთვის მინიჭებული კრედიტის შესაბამისად.

1 კრედიტი=25 საათს; 5-კრედიტიანი საგნის მოცულობა იქნება 125 სთ)

საკონტაქტო საათები: -- მიუთითეთ საათების რაოდენობა და ჩაშალეთ

(მაგ: საკონტაქტო საათები - 45 სთ; 3 საათიანიკურსის შემთხვევაში)

- ლექცია: 14 სთ
- სემინარი: 25 სთ.
- შუალედური გამოცდა: 2 სთ
- დასკვნითი გამოცდა: 3 სთ)

დამოუკიდებელი სამუშაო: --80 სთ.

შესაბამისად იქნება 2 საათიანი კურსებისათვის

- ლექცია: 13სთ
- სემინარი: 13სთ.
- შუალედური გამოცდა: 3 სთ
- დასკვნითი გამოცდა: 3 სთ)

დამოუკიდებელი სამუშაო: -- 5 კრედიტიანი კურსისათვის 93 სთ.

სასწავლო კურსის მიზანი

ადწერეთ, რა არის კურსის მიზანი/მიზნები. მიზანი/მიზნები უნდა იყოს ნათელი, მიღწევადი და შეესაბამებოდეს შესაბამისი საფეხურის სირთულეს

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები

სწავლის შედეგები უნდა იყოს კონკრეტული და მიღწევადი. თითოეული სწავლის შედეგის მიღწევადობის იზომება ამავე სასწავლო კურსის ფარგლებში, შესაბამისი მექანიზმებით. სწავლის შედეგები არ უნდა იყოს ბევრი (სასურველია, 4-6). სწავლის შედეგების ფორმულირება ხდება აწმყო დროში (ჩამოთვლის, ახლენს, ანალიზებს და ა.შ.)

ცოდნა და გაცნობიერება

- 1.
- 2...

უნარი

- 3.
- 4...

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

(აღნიშნული შედეგი მიუთითებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამეა კურსის სპეციფიკას და შესაძლებელია მისი გაზომვა ამავე კურსის ფარგლებში, სხვა შემთხვევაში, დატოვებთ ცარიელი)

- 5.

სწავლება-სწავლის მეთოდები

ჩამოთვალეთ სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები, რითაც ადრევთ კურსის მიზანსა და განსაზღვრულ სწავლის შედეგებს (მაგ: ლექცია, სემინარი, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული სამუშაო, პრეზენტაცია და ა.შ.). სასურველია, გამოიყენოთ სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები.

სწავლა/სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორები

სწავლის შედეგები	სწავლა/სწავლების მეთოდები	სწავლის შედეგების მეთოდები	პროგრამის შედეგების უზრუნველყოფა
შედეგი 1			1
შედეგი 2	ახსანა/განმარტებითი მეთოდი; დისკუსია/დებატები	რონტალური გამოკითხვა ღია და დახურული ტესტი; ქეისის განხილვა	3;
შედეგი 3	ჯგუფური მუშაობა; case study	დისკუსია/დებატები; ქეისის ანალიზი; სიტუაციური სავარჯიშო	1
შედეგი 4	ჯგუფური მუშაობა; შემთხვევის ანალიზი	ტესტური შფასება; ქვიზი; სიტუაციური	2,3; 4.6

ჯგუფური მუშაობა;
შემთხვევის ანალიზი;ქვიზი; ქეისი; ტესტი;
ბიზნეს იდვის
პრეზენტაცია;**შეფასების სისტემა**

სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი– შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) მაღიან კარგი– მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი– მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი– მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი– მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა– მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და მინიმალური ზღვრები:

შეფასების კომპონენტები და მეთოდები	სასწავლო კვირა/კვირები	მაქსიმალური ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
შუალედური შეფასება - 60 ან 70 ქულა			
ჩამოთვალეთ, რა სახის შუალედურ შეფასებებს მოიცავს კურსი (მაგ: აქტიურობა სემინარზე, ქვიზი, წერიტი გამოკითხვა, კაზუსის ამოხსნა, წერიტი გამოცდა და სხვა)	მიუთითეთ შესაბამისი სასწავლო კვირა/კვირები	მიუთითეთ შეფასების მეთოდისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულა	შუალედური შეფასების ჯამური ქულის 50%. თუ შუალედური შეფასებების ჯამია 60 ქულა, მინ. კომპ. ზღვარი იქნება 30. 70 ქულის შემთხვევაში - 30
1.	VII-VIII		
2. შუალედური გამოცდა			
3...			30 ან 35 ქულა
დასკვნითი შეფასება - 30 ან 40 ქულა			
მიუთითეთ დასკვნითი შეფასების სახე (მაგ: პროექტი, ესე, წერიტი გამოცდა, რეფერატი და სხვა)	XVI-XVII	30 ან 40 ქულა	დასკვნითი შეფასების 50%+1 (მაგ: 40-ქულიანისთვის იქნება 21 ქულა, 30-ქულიანისთვის -

			16) 16 ან 21 ქულა
საბოლოო შეფასება (შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამი)		100	51

დადებითი შეფასების მისაღებად სტუდენტმა შუალედური და დასკვნითი (ან დამატებითი) შეფასებების ჯამით უნდა დააგროვოს **მინიმუმ 51 ქულა**.

დამატებით, სტუდენტმა თითოეულ კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასებები) უნდა გადალახოს კომპონენტით განსაზღვრული **მინიმალური კომპეტენციის ზღვარი**.

შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე გასვლა **სავალდებულოა**.

შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები:

განმარტეთ, რას გულისხმობს კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების თითოეული მეთოდი, რა კრიტერიუმებისგან შედგება და როგორ ფასდებ მოიცავს და როგორ ფასდება სტუდენტი ამ კრიტერიუმების მიხედვით.

ლიტერატურა/სასწავლო რესურსები:

მიუთითეთ კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა/დამხმარე ლიტერატურა და/ან სხვა სასწავლო რესურსები:

ძირითადი ლიტერატურა/რესურსები:

1.

2.

3...

დამხმარე ლიტერატურა/რესურსები:

1.

2.

3...

სასწავლო კვირა

თემატიკა და საათების განაწილება

ლიტერატურა/რესურსები

I კვირა

მიუთითეთ კვირის შესაბამისი თემატიკა, აღწერეთ გასავლელი საკითხები და საკონტაქტო საათების განაწილება (ლექცია, სემინარი, პრეზენტაცია, შუალედური გამოცდა და ა.შ.)

მიუთითეთ თითოეული კვირის თემატიკის შესაბამისი ლიტერატურა/სასწავლო რესურსი, შესაბამისი თავები ან გვერდები

ძირითადი ლიტერატურა/რესურსები:

1.

2.

..

დამხმარე ლიტერატურა/რესურსები:

1.

2.

.....

VII-VIII კვირა

შუალედური გამოცდა

აღწერეთ შუალედური გამოცდის ფორმა, გამოკითხვის მეთოდი და სხვა რელევანტური ინფორმაცია

.....

XVI -XVII კვირა(
მიუთითეთ ის კვირა,
რომელიც
განკუთვნილია
დასკვნითი
შეფასებისთვის)

მიუთითეთ დასკვნითი გამოცდის მეთოდი და ფორმატი

დანართი N2

საგანმანათლებლო პროგრამა

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
(ქართულად და ინგლისურად)**

მიუთითეთ პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური

ბაკალავრიატი/მაგისტრატურა

კვალიფიკაციის დონე

VI, VII

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია
(ქართულად და ინგლისურად)**

მიუთითეთ კვალიფიკაციის დასახელება

**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი
(ISCED – F – 2013)**

სწავლების ენა

ქართული/ინგლისური

**პროგრამის მოცულობა (ECTS) და
ხანგრძლივობა**

*მიუთითეთ, რამდენი კრედიტისგან შედგება საგანმანათლებლო პროგრამა და რამდენ
სემესტრს მოიცავს*

პროგრამის ხელმძღვანელი

*მიუთითეთ პროგრამის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური სტატუსი და
ელექტრონული ფოსტის მისამართი (გთუნი)*

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

*პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უნდა ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფდეს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი
ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა მიღებას*

სფეროს აღწერა

გთხოვთ, დაასაბუთოთ პროგრამის აქტუალობა და მიმართება სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან. ასევე, მოკლედ აღწერეთ პროგრამის ნიშა და შემუშავების საფუძვლები;

პროგრამის მიზნები

აღწერეთ პროგრამის მიზნები. მიზანი/მიზნები უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი, ასახავდეს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა, რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში; ითვალისწინებდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს;

პროგრამის სწავლის შედეგები

სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს და მოიცავდეს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას; უნდა იყოს გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური; შეესაბამებოდეს კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; ეყრდნობოდეს კვალიფიკაციის ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ჩამოთვალეთ სწავლის შედეგები შემდეგი სამი კრიტერიუმის შესაბამისად (სასურველია, სწავლის შედეგები იყოს 8-10, მაქსიმუმ - 12).
ფორმულირება უნდა იყოს აწმყო დროში.

ცოდნა და გაცნობიერება:

- 1.
- 2.

უნარი:

- 3.
- 4.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- 5.

პროგრამის სტრუქტურა

აღწერეთ პროგრამის სტრუქტურა, მიმოიხილეთ მისი კომპონენტები და პროგრამის განვითარების ლოგიკა

სწავლება-სწავლის მეთოდები

ჩამოთვალეთ ის სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც გამოიყენება პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად

შენიშვნა: თითოეულ სასწავლო კურსში/კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები დეტალურადაა მოცემული შესაბამისი კურსის/კომპონენტის სილაბუსში

შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ითვალისწინებს 5 სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

დადებითი შეფასება	ქულა
A “ფრიალი”	91-100
B “ძალიან კარგი”	81-90
C “კარგი”	71-80
D “დამაკმაყოფილებელი”	61-70
E “საკმარისი”	51-60
უარყოფითი შეფასება	ქულა
Fx “ვერ ჩააბარა”	41-50
F “ჩაიჭრა”	40 და ნაკლები

შენიშვნა: შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და შეფასების რუბრიკები დეტალურადაა მოცემული თითოეული სასწავლო კურსის/კომპონენტის სილაბუსში.

პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი

ჩამოთვალეთ, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსები - (მაგ: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბაზები, კონკრეტული კომპიუტერული პროგრამა, პრაქტიკის ობიექტების დასახელება და ა.შ.)

საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

ასახეთ საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ასპექტები

დასაქმების სფეროები

ადწერეთ პროგრამის დასრულების შედეგად დასაქმების პერსპექტივები - რა ტიპის ორგანიზაციებში და რა პოზიციებზე შეეძლება პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმება

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები

მიუთითეთ, სწავლის მომდევნო საფეხურზე გაგრძელების პერსპექტივები

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების/კომპონენტების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი

	სახელი/გვარი	ანამდებობა/სტატუსი	ელექტრონული ფოსტა	სასწავლო კურსი/კომპონენტი
1.		<p> <i> პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ- პროფესორი, ასისტენტი, მოწვეული ლექტორი/ (აფილირება) </i> </p>	<p> <i> უნის ელ. ფოსტის მისამართი </i> </p>	
2.				
3.				
4.				
5.				
6.				
7.				
8.				
9.				

სასწავლო გეგმა
(საბაკალავრო პროგრამა)

N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა			სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სემესტრი					
				საკონტაქტო									
				<table border="1"> <tr> <td data-bbox="961 1127 989 1208">ლექცია</td> <td data-bbox="1058 1084 1106 1252">სემინარი/პრაქტიკული მუშაობა</td> <td data-bbox="1171 1101 1220 1224">შეალუდური გამოცდა</td> <td data-bbox="1268 1110 1316 1208">დასკვნითი გამოცდა</td> <td data-bbox="1373 1052 1400 1230">დამოუკიდებელი მუშაობა</td> <td data-bbox="1486 1143 1514 1175">სულ</td> </tr> </table>	ლექცია	სემინარი/პრაქტიკული მუშაობა	შეალუდური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	სულ			
ლექცია	სემინარი/პრაქტიკული მუშაობა	შეალუდური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	სულ								
ძირითადი სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/კომპონენტები - ... ECTS													

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები - .. ECTS

1.

2.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/კომპონენტები ... ECTS

3.

4.

თავისუფალი კომპონენტი ...ECTS

სავალდებულო კურსები/კომპონენტები ... ECTS

(ზოგად ტრანსვერულ უნარებზე გამყვანი კომპონენტი)

5.

6.

7.

1 სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამიდან შესაბამისი საფეხურისა და წინაპირობების დაცვის გათვალისწინებით